პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 30 მაისი, 1943 წ. № 117 (6742). ფასი 20 კაპ.

საუკეთესოდ დავამუშაოთ ნათესები

საგაზაფხულო კულტურების თესვა დასასრულს უახლოვდება. წელს საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ორგანიზებულად ატარებენ საგაზაფხულო თესვას. აღმოსავლეთ კოლმეურნეთა მოწოდებამ ჩვენში მზურვალე გამოხმაურება ჰპოვა და კოლმეურნეობები გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად სთესავენ სხვადასხვა კულტურებს სახელმწიფო გეგმების გადამეტებით. საჭიროა უახლოეს დღეებში დავამთავროთ საგვიანო კულტურების თესვა და ვიბრძოლოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის.

რაიონული პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების მოვალეობაა გულმოდგინედ იზრუნონ ნათესების დროულად და მაღალხარისხოვნად დამუშავებისათვის. ცნობილია, რომ ნათესების მაღალხარისხოვნად გამარგვლა, სათოხნი და ტექნიკური კულტურების მწკრივთა შორის კარგად დამუშავება თვალსაჩინოდ აღიდებს მოსავლიანობას. ნათესების სანიმუშოდ დამუშავება, სოფლის მეურნეობის მავნებლებისაგან მისი დაცვა, აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება ჩვენი საბრძოლო ამოცანაა. განუხრელად უნდა განვახორციელოთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ. ეს დადგენილება, რომელიც სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს, თვალისწინებს მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს მოსავლიანობის გადიდებისათვის, სარეველა ბალახებთან და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებებს. ეს გვავალებს დავრაზმოთ მთელი ძალები ნათესების, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების საუკეთესოდ დამუშავებისათვის.

საკოლმეურნეო სოფელში დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ წელს ჩვენს ქვეყანას და ფრონტს მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი კვების პროდუქტები.

საკოლმეურნეო სოფელში უკვე გაჩაღდა ეს მნიშვნელოვანი სამუშაო. ტელეგრაფს ყოველდღე მოაქვს ცნობები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ნათესების დამუშავების დაწყების შესახებ. მთელი რიგი რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები საქმით ანხორციელებენ ქობულეთელ და ლაგოდეხელ კოლმეურნეთა მიმართვის საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს და ნათლად აქვთ შეგნებული, რომ საგაზაფხულო თესვა უხვი მოსავლის მიღების დასაწყისია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალხარისხოვნად დამუშავება სწყვეტს ბარაქიანი მოსავლის საკითხს. ლაგოდეხის რაიონში წარმატებით შეუდგნენ სათოხნი კულტურების დამუშავებას, ასევე ითქმის მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებზე. რომლებმაც გააღიეს სიმინდის მარგვლა. ქუთაისის რაიონის სოფ. ოფურჩხეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მშვენივრად უვლიან ნათესებს მეორე, მეოთხე და მეხუთე ბრიგადები. ონის რაიონის სოფ. სორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა წარმატებით შეუდგა სიმინდის თოხნას და პურის მარგვლას.

მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ ზოგან აჭიანურებენ ნათესების დამუშავების დაწყებას და სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, როგორიცაა ნათესების მორწყვა. ამბროლაურის რაიონის სოფ. კვაცხუთის კოლმეურნეობაში ნელი ტემპებით მიმდინარეობს პურის მარგვლა, სიმინდის თოხნა. ქარელის რაიონის სოფ. სამწერისის, ქვენაფლავის და წეროწისის კოლმეურნეობები აჭიანურებენ ნათესების მორწყვას. ამ რაიონის მტს-ების აგრონომები ნაკლებ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს შაქრის ჭარხლის კულტურის აგროწესების მტკიცედ დაცვის საქმეში. სოფლის მეურნეობის მთელი მუშაკების და, კერძოდ, საბჭოთა აგრონომების გადაუდებელი ამოცანაა გულმოდგინედ იზრუნონ ნათესების საუკეთესოდ გამარგვლისათვის, სათოხნი, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების დამუშავებისათვის.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მინდვრად შრომის სწორად მოწესრიგებას. ნათესების დამუშავება და მოსავლის აღება სეზონური საქმეა, იგი დაძაბულ და ნაყოფიერ შრომას მოითხოვს. საჭიროა შრომა ისე იქნას მოგვარებული, რომ მუშაობა მინდვრად სწარმოებდეს გათენებიდან დაღამებამდე. საკოლმეურნეო სოფლის მთელმა მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ნათესების დამუშავებასა და მოსავლის აღებაში, ამას მოითხოვს სამშობლოსა და ფრონტის ინტერესები.

სოფლად გაცხარებული მუშაობის პერიოდია. საგვიანო კულტურების თესვის სწრაფად დამთავრება, ნათესების დამუშავება, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლა, მზადება მოსავლის აღებისათვის, — ყველაფერი ეს მოხერხებულად უნდა იქნას შეთავსებული, რომ წელს ნამდვილად მაღალი სამხედრო მოსავალი მივიღოთ.

პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელი მუშაკები ვალდებული არიან მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიონ ნათესების დამუშავებას და სოფლის მეურნეობის მავნებლებისაგან ნათესების დაცვას და დაეხმარონ კოლმეურნეობებს ამ საქმის საუკეთესოდ მოწყობაში.

გულმოდგინედ უნდა მოვუაროთ თავდაცვისა და ძმური დახმარების ჰექტარებს, რომ უხვი მოსავალი მივიღოთ. საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები ყველაფერს აკეთებენ ვერაგი მტრის გასანადგურებლად და ფაშისტ დამპყრობთაგან დაზარალებული რაიონების დასახმარებლად. დღეს ქვეყნდება ივანოვოს ოლქის როდნიკის რაიონის სტალინის სახელობის ოსტრეცოვსკის კოლმეურნეთა წერილი საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნე კაცისა და ქალისადმი. ოსტრეცოვსკელმა კოლმეურნეებმა იკისრეს ძმური დახმარება გაუწიონ სმოლენსკის ოლქის სიჩოვკის რაიონის კოლმეურნეობას „წინ სოციალიზმისაკენ“ და მოუწოდეს საბჭოთა კავშირის კოლმეურნეებს დაეხმარონ განთავისუფლებულ რაიონებს საკოლმეურნეო მეცხოველეობის მალე აღდგენის საქმეში.

ეს ძვირფასი ინიციატივა ყოველმხრივ მისასალმებელია. ამოცანა ის არის, რომ ოსტრეცოვსკელთა მიმართვა საფუძვლიანად გავაცნოთ ყველა კოლმეურნეს, ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კოლმეურნეები მხურვალედ დაუჭერენ მხარს ამ შესანიშნავ თაოსნობას და საქმით იბრძოლებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ნედლეული მრეწველობისათვის და მოვაწყოთ შეფობა განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებზე საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღდგენისათვის.

მის აღმაჯებულებას ბაჯონ მ. კალინინს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მოსკოვი.

გმადლობთ, ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენი გულთბილი მისალმებისათვის ჩვენი ორივე ქვეყნის მოკავშირეობის ხელშეკრულების პირველი წლისთავის გამო, ორმა კმაყოფილებით შეიტყეს, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში ბრიტანეთისა და მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებით საბჭოთა ხალხში გამოწვეული გრძნობები შეესაბამებიან იმ გრძნობებს, რომლებითაც ხალხები ხვდებოდნენ ცნობებს გასული წლის განმავლობაში საბჭოთა იარაღის დიდი მიღწევების შესახებ. ვიზიარებ თქვენს რწმენას, რომ, რა სიძნელეებიც უნდა იყოს, დიდი ბრიტანეთი, სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები სხვა გაერთიანებულ ერებთან ერთად მიაღწევენ მტერზე გამარჯვებას ჩვენი გაერთიანებული ღონისძიებების მეოხებით და რომ ის მჭიდრო თანამშრომლობა ომისშემდგომ მსოფლიოში, რის დაცვაც ჩვენ ვიკისრეთ ჩვენი ხელშეკრულებით, სარგებლობას მოუტანს არა მარტო ორივე ჩვენს ხალხს, არამედ ყველა თავისუფლებისმოყვარე ერსაც.

გეორგ R. I.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

ომასთან დაკავშირებით, რომ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში შემოდის შეკითხვები, შეიძლება თუ არა სამუშაო დროს გაუშვან მუშები და მოსამსახურენი კოლექტიურ და ინდივიდუალურ ბოსტნებში სამუშაოდო, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო იუწყება, რომ კოლექტიურ და ინდივიდუალურ ბოსტნებში მუშებმა და მოსამსახურეებმა მხოლოდ იმ დროს უნდა იმუშაონ, როცა ისინი წარმოებაში მუშაობისაგან თავისუფალნი არიან.

კონკურსი საუკეთესო რაციონალიზაციურულ წინადადებებზე შავ მეფალურგიაში

1 ივლისს შავი მეტალურგიის საწარმოებში იწყება მეორე კონკურსი საუკეთესო რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო წინადადებებზე შრომის ორგანიზაციის, სათბობის, ენერგეტიკის, ლითონისა და დეფიციტური მასალების მომჭირნეობის დარგში.

დაწესებულია ექვსი პრემია—თითო 15.000 მანეთი, ოცდაათი პრემია—თითო 5.000 მანეთი, და სამოცი პრემია—თითო 3.000 მანეთი. იმ საუკეთესო წინადადებათა ავტორებს, რომლებიც ცენტრალური ეიურის მიერ არ იქნებიან დაჯილდოებულნი, მიეცემათ წახალისების პრემიები—3.000 მან., 2.000 და 1.000 მანეთი.

კონკურსის ცენტრალური ეიურის თავმჯდომარედ დამტკიცებულია სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის მოადგილე, აკადემიკოსი ი. პ. ბარდინი.

კონკურსი 1 სექტემბრამდე გაგრძელდება.

(საკდესი).

სახელმწიფო სამხედრო სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი

29 მაისს მოსკოვში შესდგა 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი. ტირაჟში გათამაშდა 1.017.750 მოგება 271.565.200 მანეთისა.

ამ სესხის მოგებათა შემდეგი ტირაჟი შესდგება მიმდინარე წლის 1 სექტემბერს.

(საკდესი).

ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ინგლისის რეიტერის სააგენტოს მთავარი კორესპონდენტის კითხვაზე

ინგლისის რეიტერის სააგენტოს მოსკოველმა კორესპონდენტმა ბ-ნმა კინგმა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ი. ბ. სტალინს მიმართა წერილით, რომელშიც სთხოვდა ეპასუხნა ინგლისის საზოგადოებრიობისათვის საინტერესო კითხვაზე.

ამხ. ი. ბ. სტალინმა შემდეგი წერილით უპასუხა ბ-ნ კინგს:

ბატონო კინგ!

მივიღე თქვენი თხოვნა — გიპასუხოთ კითხვაზე, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლას ეხება. გიგზავნით ჩემს პასუხს.

კითხვა. „ბრიტანეთის კომენტარიები კომინტერნის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების გამო მეტად კეთილსასურველია. როგორია საბჭოთა თვალსაზრისი ამ საკითხზე და რა გავლენას იქონიებს იგი ამ თვალსაზრისით მომავალ საერთაშორისო ურთიერთობაზე?“.

პასუხი. კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა სწორი და დროულია, რადგან აადვილებს საერთო მტრის — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ყველა თავისუფლებისმოყვარე ერის საერთო შეტევის ორგანიზაციას.

კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა სწორია, რადგან:

ა) იგი ააშკარავებს ჰიტლერელთა სიცრუეს იმის შესახებ, რომ „მოსკოვს“ ვითომ განზრახვა ჰქონდეს ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა ცხოვრებაში და „მოახდინოს მათი ბოლშევიზაცია“. ამ სიცრუეს ამიერიდან ბოლო ედება.

ბ) იგი ააშკარავებს მუშათა მოძრაობაში კომუნიზმის მოწინააღმდეგეთა ცილისწამებას იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიები ვითომ მოქმედებენ არა თავიანთი ხალხის ინტერესებისათვის, არამედ გარედან მიღებული ბრძანებით. ამ ცილისწამებასაც ამიერიდან ბოლო ედება.

გ) იგი აადვილებს თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების პატრიოტების მუშაობას — გააერთიანონ თავიანთი ქვეყნის პროგრესიული ძალები, დამოუკიდებლად მათი პარტიულობისა და რელიგიური რწმენისა, ერთიან ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბანაკად,—ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებისათვის.

დ) იგი აადვილებს ყველა ქვეყნის პატრიოტების მუშაობას — გააერთიანონ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი ერთიან საერთაშორისო ბანაკად ჰიტლერიზმის მსოფლიო ბატონობის მუქარის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ამით გზას უწმენდს მომავალში ხალხთა თანამეგობრობის ორგანიზაციას მათი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

ვფიქრობ, რომ ყველა ეს გარემოება, ერთად აღებული, გამოიწვევს მოკავშირეთა და სხვა გაერთიანებულ ერთა ერთიანი ფრონტის შემდგომ განმტკიცებას მათს ბრძოლაში ჰიტლერულ ტირანიაზე გასამარჯვებლად.

მიმაჩნია, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა სავსებით დროულია, რადგან სწორედ ახლა, როცა ფაშისტი მხეცი თავის უკანასკნელ ძალებს ძაბავს,—აუცილებელია მოეწყოს თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების საერთო შეტევა იმისათვის, რომ საბოლოოდ მოვსპოთ ეს მხეცი და ვიხსნათ ხალხები ფაშისტური ჩაგვრისაგან.

პატივისცემით **ი. სტალინი**

1943 წ. 28 მაისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 მაისის დილის ცნობა

28 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

***

დასავლეთის ფრონტზე ნ ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს მტრის 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპეს მოწინააღმდეგის ქვემეხი და 5 ტყვიამფრქვეი. ნაპიერთა ჯგუფმა უფროს სერჟანტ ამხ. შუმილინის მეთაურობით ორი დღის განმავლობაში მოსპო მტრის 43 ჯარისკაცი და ოფიცერი. მზვერავები ამხ. ჩუბჩენკო, გლუშენკოვი, სავენკოვი, ბოზიციი პერმინოვი და სოლომინი უკანასკნელი დღეების განმავლობაში სამჯერ იყვნენ დასაზვერავად, გასწყვეტეს 30 ჰიტლერელი და წამოიყვანეს ტყვეები.

• • •

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს მტერზე და ნაწილობრივ აღადგინეს შეტაკების შედეგად განდევნეს ჰიტლერელები გამაგრებული პოზიციებიდან. გერმანელები ორჯერ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 80 გვამი. ხელთ ვიგდეთ დაცლა და ტყვეები.

• • •

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით გაფანტულია მტრის ორი ასეული ქვეითი ჯარი, მოსპობილია გერმანელთა 2 ქვემეხი, დანგრეულია მტრის 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 4 ბლინდაჟი და 2 სათვალთვალო პუნქტი.

***

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა და სნაიპერებმა გასწყვიტეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. არტილერიის ცეცხლით და ავიაციის საიერიშო მოქმედებით ჩახშობილია მტრის 22 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი, დანგრეულია 12 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 10 მიწური, მოსპობილია რამდენიმე ავტომანქანა და საზიდარი საომარ ტვირთით.

• • •

ჩვენი მფრინავი გამანადგურებლების ჯგუფი საბჭოთა კავშირის გმირ კაპიტან გლინკას მეთაურობით შეხვდა გერმანელთა 10 თვითმფრინავ „მესერშმიტ-109“-ს და ორ „ფოკე-ვულფ-190“-ს, გაფთრებულ საჰაერო ბრძოლაში საბჭოთა მფრინავებმა მტრის 6 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თვენახევრის განმავლობაში რამდენჯერმე დაესხა თავს მტრის გარნიზონებს და 300-ზე მეტი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი გასწყვიტა, ამ რაზმის ამფეთქებელთა ჯგუფმა მაისის შუა რიცხვებში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა ეშელონი საწვავიანად. ვიტებსკის სხვა რაზმის პარტიზანებმა მოაწყვეს მტრის სამი სამხედრო მატარებლის მარცხი, დამტვრეულია 3 ორთქლმავალი, 12 ვაგონი ჯარებიანად და 10 პლატფორმა ავტომანქანებიანად.

• • •

ქალ. დნეპროპეტროვსკის მცხოვრებთა ჯგუფმა მოაბერხა ფაშისტთა ტყვეობიდან გამოქცევა და ფრონტის ხაზზე გადმოსვლა. მათ გვიამბეს: „ქალაქში მკვდრული სიჩუმე სუფევს. ბევრი ახალგაზრდა და მოზრდილი ჰიტლერელებმა ძალით გაიტაცეს გერმანიის კატორღაში. გერმანელთა ტყვეთით, ცემით, წამებითა და შიმშილით ათასობით საბჭოთა მოქალაქე დაიღუპა. დნეპროპეტროვსკის მცხოვრებნი შიშით იგონებენ იმ სისხლის ღვრას, რაც გერმანელებმა პუშკინის პროსპექტზე და ჩიჩერინის ქუჩაზე ჩაიდინეს. მაგრამ ფაშისტთა ტყვეობაში მყოფი დნეპროპეტროვსკის მცხოვრებნი არ ნებდებიან. საბჭოთა ადამიანები შურს იძიებენ საზიზღარ მტერზე და ზიანს აყენებენ გერმანელებს ყველგან, სადაც კი შეუძლიათ“.

***

ბერძენი პატრიოტები თავს დაესხნენ გერმანელთა აეროდრომს, დახოცეს მცველები და ცეცხლი წაუკიდეს რამდენიმე თვითმფრინავს. ორგოსის მახლობლად პარტიზანებმა, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებნი ეხმარებოდნენ, გაანადგურეს იტალიელთა რაზმი. გააფთრებულ შეტაკებაში მოკლულია 40-ზე მეტი იტალიელი. ამფიკლეის რაიონში რკინიგზელმა მუშებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 8 ორთქლმავალი, ბევრი ვაგონი და დაწვეს რკინიგზის შემადგენლობა საწვავიანად.

29 მაისის საღამოს ცნობა

29 მაისის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, გრძელდებოდა ბრძოლები. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ავიაციამ რიგის ყურეში ჩასძირა გერმანელთა ტრანსპორტი 5.000 ტონა წყალწყვისა.

***

28 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 15 ტანკი, 60-ზდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს 4 საწყობი საომარი მასალა, დამტვრიეს რკინიგზის რამდენიმე ეშელონი, გაჭფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის 1 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

***

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები უშენდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს. არტილერიისა და ქვეითი ჯარის იერაღის ცეცხლით მოსპობილია 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამტვრეულია 5 ტყვიამფრქვევი და ჩახშობილია 4 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ფოთლარმიელებმა ამხ. აბარინმა და პროკოფიევმა საბრძოლო დაცვაში ყოფნისას შეამჩნიეს გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელნიც ჩვენი სნეგრებისაკენ მოიპარებოდნენ. ჩვენმა მებრძოლებმა ახლო მანძილზე მოუშვეს მტერი და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპეს 16 ჰიტლერელი. დანარჩენი გერმანელი ჯარისკაცები სწრაფად მიიმალნენ.

***

ლისიჩანსკის რაიონში საბჭოთა ქვეგანაყოფები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ერთ უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა სანგრები და შიგ გამაგრდნენ. მოწინააღმდეგემ კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ ტყვიამფრქვევის ჯვარედინ ცეცხლში მოხვდა, დიდი ზარალი ნახა და უკან დაიხია. ბრძოლის ველზე დაგვილია მტრის 400-მდე გვამი.

ჩვენმა მეზენიტეებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

***

ჩუგუევის ჩრდილოეთით არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა, ორი ძელმიწური საცეცხლე წერტი, მოსპობილია 2 ქვემეხი და რამდენიმე საზიდარი ტვირთიანად. ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 2 ბომბამშენი. ერთი თვითმფრინავის ეკიპაჟი წამოყვანილია ტყვედ.

***

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენი ნაწილის ნაღმტყორცნელებმა მოსპეს გერმანელთა ერთი საარტილერიო ბატარეა, დაანგრიეს 4 ბლინდაჟი, გაჭფანტეს და ნაწილობრივ გაელიტეს მოწინააღმდეგის 1 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

ჩვენმა მფრინავმა გამანადგურებლებმა ჩამოაგდეს გერმანელთა ბომბდამშენი, ხოლო მოწინააღმდეგის სხვა თვითმფრინავი იძულებული გახადეს ჩვენს ტერიტორიაზე დაშვებულიყო. მფრინავები ტყვედ არიან წამოყვანილი.

***

ვოლხოვის ფრონტზე საარტილერიო ცეცხლით დანგრეულია მტრის 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, აფეთქებულია საომარი მასალების საწყობი და დამტვრეულია რკინიგზის რამდენიმე ვაგონი მოწინააღმდეგის სამხედრო ჭონებიანად. 5 ნაწილის მეზენიტეებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი.

***

მოლოტოვის სახელობის რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა უეცრად მიიტანა იერიში გერმანელთა ქვეგანაყოფის წინააღმდეგ ყიტომირის ოლქის ერთ-ერთ გზატეხილზე. პატრიოტებმა გაელიტეს მტრის 40 ჯარისკაცი და ოფიცერი. ფურაანელი პარტიზანები თავს დაესხნენ რკინიგზის სადგურს, მოსპეს მცველ გერმანელთა რაზმი და გათავისუფლეს 120 საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც ჰიტლერელები ძალით მიერეკებოდნენ კატორღულ სამუშაოზე გერმანიაში.

***

გერმანელთა 208-ე ქვეითი დივიზიის 309-ე პოლკის მე-3 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ვილჰელმ ბურმეისტერმა განაცხადა: „მარტის ბრძოლებში ყიზლრასთან ჩვენი დივიზია დამარცხებულ და სისხლისაგან დაცლილ იქნა. 309-ე პოლკში სულ 200-მდე კაცი დარჩა, ხოლო 337-ე და 338-ე პოლკებს 70-90 ჯარისკაცი შერჩათ თითოეულს. აპრილში დივიზიას შეესება ფიცეული. ზურგიდან მოსული ჯარისკაცები ამბობენ, რომ გერმანიაში ამჟამად იწვევენ ყველას, „ვისაც სიარული და ხოხვა შეუძლია“. ზამთრის დამარცხებათა შემდეგ ძველმა ჯარისკაცებმა, რომლებიც დასაწყისიდანვე მონაწილეობენ ომში, ახლა ბრძოლის სულისკვეთება დაკარგეს. ომის დაწყებისას მათ სჯეროდათ, რომ გერმანიის არმია რაღაც 6-8 კვირის განმავლობაში მოიპოვებდა გამარჯვებას. ახლა სიტყვები—„ელვისებური ომი“, „ელვისებური გამარჯვება“ არ იხმარება. ჯარისკაცებს არავითარი ილუზია არა აქვთ მომავლის შესახებ. ბევრს ესმის, რომ გერმანიის გამარჯვებაზე ახლა უკვე ლაპარაკიც კი არ შეიძლება“.

ჩვენი ავიაციის თავდასხმა რკინიგზის კვანძ ვიზებსკზე

28 მაისს ღამით ჩვენი შორსმფრქვევი ავიაცია მასირებულად დაესხა თავს რკინიგზის კვანძ ვიტებსკს. რკინიგზის კვანძის ძლიერი დაბომბვის შედეგად ბევრგან გაჩნდა ხანძარი და დამტვრეულია მოწინააღმდეგის რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი. დაკვირვებით დადგენილია, რომ განსაკუთრებით დიდი ხანძრები და აფეთქებანი იყო საომარი მასალების საწყობებისა და საწვავიანი საწყობების განლაგების რაიონში.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი დაბრუნდა თავის ბაზებში.

დავეხმაროთ განთავისუფლებულ რაიონებში საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღდგენას

ივანოვოს ოლქის როდნიკის რაიონის ოსტრეცოვსკის კოლმეურნეთა წერილი საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნე კაცისა და ქალისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ბევრი მწუხარება და უბედურება მოიტანეს ჩვენს მშობლიურ ქვეყანაში გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა. იქ, სადაც ფეხი შეადგა ბილწმა გერმანელმა, ნგრევის, გაპარტახებისა და სიკვდილის ღრმა კვალი დარჩა. სადაც ქალაქები იყო—იქ ნანგრევებიღა დარჩა. სადაც აყვავებული საკოლმეურნეო სოფლები იყო, ახლა იქ ნახანძრალი და პარტახია.

გერმანელმა დამპყრობლებმა ბევრი საბჭოთა ქალაქი და სოფელი გაანადგურეს. მათ დაიტაცეს სახელმწიფო და საკოლმეურნეო სიმდიდრე. მათ მონობაში წაიყვანეს მრავალათასობით ჩვენი ძმა და და, ხოლო რამდენი ქალი, ბავშვი და მოხუცი დაიღუპა ფაშისტ მკვლელთა ხელით!

ყველა ამისათვის შურს ვიძიებთ ჰიტლერელ ავაზაკებზე. ბანდიტები და მოძალადეები ჭაკარ სასჯელს მიიღებენ ყველა თავიანთი სისტლისმღვრელი ბოროტმოქმედებისათვის.

გმირმა წითელმა არმიამ თავისი ზამთრის შეტევის დროს მძლავრი დარტყმები აგემა მტერს და გერმანელ ოკუპანტთაგან გაათავისუფლა საბჭოთა მიწა-წყლის დიდი ტერიტორია. ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებული ჩვენი ჯარები და მთელი საბჭოთა ხალხი ემზადებენ მტერს ახალ-ახალ გადამწყვეტ დარტყმებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მოუტანენ ფაშისტ ავაზაკთაგან განთავისუფლებას.

ჩვენ ვიცით, რომ შურს არ არის ის დრო, როცა გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული ჩვენი ქალაქები და სოფლები კვლავ გამოცოცხლდებიან და აყვავდებიან.

ადვილი როდი იქნება ფაშისტ დამპყრობთაგან დანგრეული მეურნეობის ერთბაშად აღდგენა. მაგრამ მთელი ჩვენი ხალხის საერთო მეცადინეობით შესაძლებელი იქნება უფრო მალე მოვაგვაროთ ცხოვრება და მეურნეობა განთავისუფლებულ რაიონებში. ამისათვის ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია ჩვენ—ზურგის ოლქების კოლმეურნეებს.

ომის განმავლობაში ჩვენი საკოლმეურნეო მეურნეობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ჩვენ გვაქვს სარძეო-სასაქონლო, მელორეობის, მეცხვარეობის ფერმები და მეფრინველეობის ფერმა. ფერმებში პირუტყვი ჩვენ იმაზე მეტი გვყავს, რაც გეგმით არის გათვალისწინებული. ომის დღეებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა ჩვენს საკოლმეურნეო ფერმებში 66 სულით გადიდდა, ცხვრისა კი—106 სულით. იმატა ღორის სულადობამ. აგებულია ახალი ბაკი, სახბორე და ფარეხი. გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა. 1942 წელს თითოეული საფურაჟე ძროხისაგან მიღებულია 1.800 ლიტრი რძე. გეგმით გათვალისწინებული 1.600 ლიტრის ნაცვლად.

ეს შესაძლებლობას გვაძლევს გავაძლიეროთ დახმარება ფრონტისათვის. ხორცის ჩაბარების გეგმა 1943 წელს მთლიანად არის შესრულებული. 10 ცენტნერი ხორცი ჩაბარეთ თავდაცვის ფონდს.

საგაზაფხულო თესვა ოთხ წარმატებით ჩავატარეთ, ვიდრე გასულ წლებში, და თავდაცვის ფონდისათვის გეგმის გადამეტებით დათესეთ 14 ჰექტარი მარცვლეული კულტურები.

ჩვენ არ გვინახავს და არ ვანგვიცდია გერმანელთა მხრივ ჩაგვრა. იმიტომ, რომ წითელმა არმიამ გვიხსნა ბრბოსგან. უბრალოდ მტერს, მაშ ნუთუ ჩვენ არ ვავიხმარებით ძმებსა და დებს, რომლებიც გერმანელ ოკუპანტთაგან დახსნილნი, ოსტარეცოვსკელ კოლმეურნეებს ეხმარებოდნენ ერთმანეთს უბედურების დროს.

ჩვენი ივანოვოს ოლქის მშრომელები დიდ ძმურ დახმარებას უწევენ სტალინგრადისა და სმოლენსკის ოლქებს. ჩვენი ოლქის ქალაქები შეფობას იღებენ სმოლენსკის ოლქის ქალაქებზე. ეს ძმური დახმარება შეიძლება გაფართოვდეს.

განვიხილეთ რა იაროსლავლის ოლქის გორშიხის კოლმეურნეთა მიმართვა, ჩვენ, სტალინის სახელობის ოსტრეცოვსკის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა, გადავწყვიტეთ დახმარება გავუწიოთ სმოლენსკის ოლქის სიჩოვკის რაიონის კოლმეურნეობას „წინ სოციალიზმისაკენ“. ჩვენ შევიტყეთ, რომ სმოლენსკის ამ ოდესაც მდიდარ და მოწინავე კოლმეურნეობაში გერმანელებმა ყველაფერი განადგურეს და მოსპეს. 6 დიდი მაღალპროდუქტიული საკოლმეურნეო ფერმიდან არც ერთი აღარ დარჩენილა. ჩვენ გადავწყვიტეთ დავეხმაროთ დაზარალებულ კოლმეურნეობას უფრო მალე აღადგინოს თავისი მეცხოველეობა. პარტია და მთავრობა თავიანთ ამასწინანდელ დადგენილებაში სოზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის აღდგენას განთავისუფლებულ რაიონებში.

ჩვენი საკოლმეურნეო

ილო მოსაშვილი

დედავ, იმედო!..

„იხარე ბერო, მოკვდი მტერო!"—ასე შესძახებდა ქართველი კაცი და მაშინვე თოფს დასცლიდა, როდესაც ვაჟიშვილის შეძენას ახარებდნენ.

მაშინ ოჯახის კაცს ნამგლისა და გუთნისათვის არ ეცალა და მახარობელი თოფის გავარდნა სოფელში მეომრის შემატებას ნიშნავდა.

ქართველი დედაც ალერსით შეარხევდა შვილისშვილულ აკვანს და მშობიარური იავნანა სამუდამოდ ჩასწერდა იმ ერთს პატარა გულში:

„მას დედის ძუძუ ტკბილი
შობამდაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!"...

თოფი და იავნანა ასე ერთად შემოუძღვებოდნენ ოჯახში ახალ დაბადებულს...

ექვსი მახარობელი თოფი გავარდა ფირუაშვილების ეზოში და საგვარეულო აკვანში მარიამ ფირუაშვილმა ექვსი ერთმანეთზე მოზდევნო ვაჟიშვილი გამოზარდა.

ხუთი ძმა ჯერ ისევ შინ იყო, როდესაც ყველაზე უმცროსი—ვახტანგი, სამამულო ომის პირველ ბრძოლებში თავისი მრისხანე თვითმფრინავით ფაშისტურ სვავებს შეებრძოლა.

საქეყნო [illegible]ომა ხუთ ძმასაც დაუძახა.

კარალეთის ბაღებში სართველად შემოსულ ხილს სინათლე იდგა და გორის ციხე ჭაღარა დარაჯივით დასცქეროდა ქართლის დაპურებულ ველებს, ხუთი ვაჟიშვილი ერთად—ვასო, დათია, გრიშა, ლენტო და არმენი რომ გაიცალა მარიამმა.

ცხრა ძმა ხერხეულიძის დედასავით გაუძღვა იგი შვილებს და ბელადის სახლთან შეაჩერა:

— ვენაცვალე იმის სახელს, მან დედაცა და ქვეყანაც გაახარა... თქენ იცით შვილებო, როგორც გამოადგებით იმის საქმეს... ამ მიწის მადლმა ხელი მოგიმართოთ!—რიგრიგად გადაკოცნა ხუთივე და საომარი გზა დაუოცოცა.

მარიამის ოჯახმა ექვსი კაცი მტრის დასახვედრად გაგზავნა, ექვსი ვაჟკაცივით ქალი კოლმეურნეობას მიაშველა. ხუთი რძალი და მეექვსეც დედამთილი ერთად გაეშურნენ კოლექტივის ბაღ-ვენახებში, რომ მათი ქმრებისა და შვილების ნაფეხარი შამბსა და ბალახს არ დაეფარა.

— სავსე ოჯახი ომში წასულის იარაღსა ლესავს შვილო... ამიტომ რაც უფრო ბეჯითად ვიმუშავებთ—ომს მალე გავათავებთ, შვილებიც მალე დაგვიბრუნდებიან!—გვეუბნება მოხუცი დედა და თავი ესახელება, რომ კარალეთელმა კოლმეურნეებმა საგაზაფხულო თესვა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს.

ბედნიერი დედა იყო მარიამი, როდესაც ექვსი ვაჟიშვილი შინ ჰყავდა. იგი ბედნიერია დღესაც, რადგან ომში წასული ექვსი ვაჟიშვილის დედა მთელ სოფელს თავის დედათ მიაჩნია. მაგრამ ისე ბედნიერი არასოდეს ყოფილა მარიამი, როგორც მაშინ, გაზეთმა რომ ვახტანგის სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოების ამბავი მოუტანა.

ეს პატარა ტანის მოხუცი დედაკაცი ერთბაშად წელში გაიმართა, თითქოს გაიზარდა [illegible]. თვალის სინათლე მოემატა, ადარაც თოხი იყო ისე მძიმე, მიწაც რბილი და ფხვიერი გახდა.

ლენინის გმირული ქალაქის დამცველმა შვილმა დედის გულს ფრთები გამოასხა, ერთი ოჯახის სიხარული მთელ სოფელს გაუყო, ყველა დედასა და ქალს გაუნაწილა, ხალხის ძალა და მხნეობა გაამრავლა.

დედებმა მარიამს მიბაძეს, რძლებმა და ქალებმა—მარიამის ოჯახს. ქართლის სოფლებზე, მინდვრებსა და ბაღ-ვენახებზე კოლტეურნე ქალების მრავალათასიანი ლაშქარი გაიშალა.

ქალი გუთნისდედები მეხრე ქალებს ეჯიბრებოდნენ, მბარველები გუთნეულებს უსწრებდნენ კვალში. ხნულს ხნული ემატებოდა. მესამე სამხედრო მოსავლის მიწა ფუფუდებოდა, კეთილი თესლით ნაყოფიერდებოდა.

ათი-თორმეტი ათასი ქალი მუშაობდა გორის რაიონის მინდვრებზე, ორი სამანქანო სადგურის ღონეს გაუსწრო მათმა პატიოსანმა მარჯვენამ. ათას ტრაქტორამდე ჰექტარი მიწა დაბარა და გადაბრუნა მათმა დაუზარელმა ხელმა.

ჩვენმა დედებმა და ქალებმა ერთხელ კიდევ ასახელეს თავისი შეურეკავი მანდილი. მათი თავდადებული შრომა ჰიტლერელ აგაზაკებს ჩვენი გამარჯვების საათს აახლოებს. ეს მათ იციან და ამიტომ მხნედ ერევიან დარდსა და მიწას.

ყური დაუგდეთ მტკვრისა და ლიახვის ნაპირებზე მობიბინე ჯეჯილებს, მოშრიალე სიმინდის ყანებს და აყვავებულ ბაღებს. მუდამ მარხილს თავისი შეურეკავი მიწა ყეელას გასაგონად ამბობს.—რა შესძლებია კარგი შვილების აკვანზე ნაამაგარ დედის მარჯვენას...

— შვილები კარგი დავზარდე, რძლებიც კარგი მომიყვანეს, თერმეტი ვარსკვლავივით შვილიშვილი მყავს,—მეთორმეტესაც ჩემი ვახტანგი მპირდება. ვენაცვალე. იმისაც შეურთავს ცოლი... ისეთი რუსის ქალი მოვიყვანე, მარტო დანახვა გაგიხარდებიო!... — სულმოუთქმელად გვიყვება მოხუცი მარიამი და უნებური სევდა ეპარება ხმაში... მაგრამ შეკრული წარბები უმალ გაეხსნება და თითქოს თავის ჯავრს ეჩუბებიო, ხმამაღლა დაუმატებს:

— რა ვქნათ, ასე იტყვიან შვილო, სიცალით დაკარგული—ტირილით აღარ დაბრუნდებიო... სადაც მთელი ქვეყნის შვილები არიან, ჩემებიც იქ იყვნენ!...

„დედავ—იმედო, ციხე-ქალაქო!"—ასეთ დედაზეა ნათქვამი.

კარალეთი.

ქართველი მებრძოლების სიმამაცე

ნ ნაწილის მებრძოლებმა, ამხ. ნიკოლოზ ყანჩაველის ბატარიის გამანადგურებელი ცეცხლის დახმარებით, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად 20-მდე ძლიერი გამაგრებული ბლინდაჟი და ძელმიწური დაანგრიეს, დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და განდევნეს მტერიმფთელი რიგი სიმაღლეებიდან.

ფრონტის ამ უბნებზე აღსანიშნავია ქართველი მეომრების სიმამაცე. მაგალითად, უფროს ლეიტენანტ ს. ვასაძის ქვეგანყოფილებამ გაარღვია მტრის თავდაცვითი ხაზი, შეიჭრა სამ გამაგრებულ ძელმიწურში და ხელჩართული ბრძოლით დაიკავა ისინი. თვით ვასაძემ ამ ბრძოლაში მოჰკლა 10 ფაშისტი მზეცი და ტყვედ წამოიყვანა ორი. ამხ. ს. ვასაძემ ხელთ იგდო აგრეთვე მტრის მნიშვნელოვანი დოკუმენტები და ბასალები.

იმ ქვეგანყოფილებამ, რომელსაც მეთაურობს ამხ. აპოლონ ახლელიანი, დაიკავა 2 ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი და შოიგერია მტრის რამდენიმე კონტრიერიში.

ლეიტენანტმა ამხ. გ. ბაბუნაშვილმა ფაიყანა მებრძოლების ერთ ჯგუფი მტრის გამაგრებული ძელმიწურისაკენ, მოხერხებულად მიუახლოვდა მათ საფარს, დასჭრა რვა თოფლურთები და გამბედულად შეიჭრა შიგნით. მას გაჰყვნენ მებრძოლებიც, გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. მტერმა ვერ გაუძლო ჩვენი მამაცი მებრძოლების ხიბრეს და იძულებული გახდა დაეხია უკან.

უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ვ. თოდუამ რამდენჯერმე გაარღვია მტრის თავდაცვითი ხაზი, მოიგერია მოწინააღმდეგის კონტრიერიში, წინ წაიწია და მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

მეტყვიამფრქვევე სერეანტმა ამხ. თ. ლეგაშვილმა ტყვიამფრქვევის მარჯვე ცეცხლით მოსპო მტრის ერთი ჯგუფი, რომელიც ცდილობდა კონტრიერიშით შეეჩერებინა ჩვენი ნაწილების მედგარი წინსვლა. ამ ბრძოლებში თავი ისახელეს მთელმა რიგმა სხვა მებრძოლებმა და მეთაურებმა, მათ შორის ამხ. გოგი სურგულაძემ და ლავროსი გოგატიშვილმა.

შ. ლოლაძე

მოქმედი არმია.

ლენინგრადი

იდენის გამოსვლა პორტსმუთში

ლონდონი, 28 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა პორტსმუთში სიტყვა წარმოსთქვა „გამარჯვების ფრთების" კამპანიის გამო.

სიტყვის იმ ნაწილში, რომელიც საგარეო პოლიტიკას ეხებოდა, იდენმა სთქვა: „ჩვენ ყველგან გავანადგურებთ ჰიტლერიდან იტალიისა და გერმანიის სამხედრო მანქანას. იტალია ამჟამად სავსებით ღიაა ჰიტლერიდან დარტყმებისათვის. იერიშებს ენერგიულად მივიტანთ ყველა საშუალებით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, იმიტომ, რომ ჩვენ ალბანეთი ვართ ურყევი სიმტკიცით მოვსპოთ ფაშიზმი და განვაგრძოთ ომი იტალიის წინააღმდეგ მთელი ძალებით, რაც ჩვენს განკარგულებაშია მანამდე, სანამ იტალია ომს ეწევა ჰიტლერულ გერმანიასთან ერთად.

ომაში, რასაც ამჟამად იტალიელები იტანენ და ომაში, რის გადატანაც მათ კიდევ მოელით, დამნაშავენი არიან მუსოლინი და მისი ფაშისტი თანამონაწილენი. იტალიელმა ხალხმა თვითონ უნდა გადასწყვიტოს—ბოლომდე გადიტანს იგი თუ არა ამ საპაერო დაბომბვას, მასზეა დამოკიდებული, როდის შესწყდება ეს დაბომბვა".

ილაპარაკა რა ავიაციის თავდასხმებზე, იდენმა განაცხადა: „დღეს დადგა გერმანიისა და იტალიის ჯერი. ეს საქმე ჩვენ როდი დაგვიწყია. ეს გერინგი იყო, ვარშაველა და როტერდამის დანგრევით რომ სტკბებოდა. ახლა ამას ბოლო მოეღო. ასე გაგრძელდება ნაცისტური და ფაშისტური რეჟიმებისა და ყოველივე იმის საბოლოო განადგურებამდე, რასაც ისინი წარმოადგენენ. ნურავინ ნუ მოიტყუებს თავს ილუზიებით ამის შესახებ".

შემდეგ იდენმა განაცხადა, რომ ცნობები წყალქვეშა ომის მსვლელობის შესახებ კვლავ სანუგეშო ხასიათს ატარებს, სავაჭრო ფლოტის ზარალი მცირდება, მტრის მოსაბილი წყალქვეშა ნავების რიცხვი კი სულ უფრო დიდდება. „ამ ბრძოლის შედეგი, — ამბობს იგი,—ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მდგომარეობა ამ დარგში უკეთესია, ვიდრე წინათ იყო".

გაერთიანებული ერების კონფერენცია ომისშემდგომ სასურსათო საკითხებზე

ჰოტ სპრინგსი (ვირგინიის შტატი), 29 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ომისშემდგომ სასურსათო საკითხებზე მოწვეულ გაერთიანებული ერების კონფერენციაზე შეიტანა წინადადება, რომელიც ითვალისწინებს, რომ კონფერენციის მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას გაერთიანებული ერების დროებითი კომისია სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე. როგორც აღნიშნულია რეზოლუციაში, ამ დროებითი კომისიის ამოცანებია შემუშაოს და ურჩიოს კონფერენციაზე მონაწილე ქვეყნების მთავრობებს კონკრეტული გეგმა სურსათისა და სოფლის მეურნეობის პრობლემების გადასაწყვეტად მუდმივი საერთაშორისო აპარატის შექმნისა, აგრეთვე მოაწყოს სტატისტიკური და კვლევითი პრობლემების წინასწარი შესწავლა. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ამ კონფერენციაში მონაწილე ყოველმა მთავრობამ უნდა გამოაყოს წარმომადგენელი ამ დროებითს კომისიაში, რომელიც შეიქმნება ორაუგვიანეს 15 ივლისისა კონფერენციის მიერ აღნიშნულ ადგილას.

საბჭოთა დელეგაციამ მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებას გაერთიანებული ერების დროებითი კომისიის შექმნის შესახებ, რათა ეს რეზოლუცია მიღებულ იქნას სათუძლად კონფერენციის პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის.

შესაძლო შესწორებებსა და დამატებებს ამერიკის პროექტისათვის, აგრეთვე ჩინეთისა და იუგოსლავიის დელეგაციების პროექტებისათვის საბჭოთა დელეგაცია წარადგენს დამატებით, ამ პროექტთა შემდგომი განხილვისა და შესწავლის მსვლელობაში.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 29 მაისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავები თავს დაესხნენ საკაქსავ ღუმელებს ზეებრიუგეში.

სხვა ცნობაში აღნიშნულია, რომ დაბომბილია მტრის აეროდრომები სარდინიასა და სიცილიაში. იერიში მიიტანეს ავრეთვე კუნძულ პანტელერიის ობიექტებზე.

თვითმფრინავთა დიდი შენაერთი იტალიაში თავს დაესხა ლივორნოს. დიდად არის დაზიანებული ნავთსაწმენდი ქარხნები, დოკები, გემსარემონტო და რკინიგზის სახელოსნოები.

დემარკაციის განწყობილების ზრდა გერმანიაში

ლონდონი, 29 მაისი (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ციურიხელი კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანიიდან მიღებული ცნობები მოწმობენ დამარცხების განწყობილების ზრდას გერმანელ მოსახლეობაში. ჰიტლერული პროპაგანდა იძულებულია აღიაროს, რომ უკმაყოფილება და დამარცხების განწყობილება ჰიტლერული პარტიის რიგებშიც კი ატარს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთმა ჰიტლერელმა მეთაურმა ვაგნერმა ამ ცოტა ხნის წინათ გამოაცხადა ჰიტლერული პარტიის მომავალი ახალი „წმენდის" შესახებ.

შვეიცარიული გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი" სწერს, რომ გერმანელი მოსახლეობის მორალური მდგომარეობა შეაღწია გერმანელთა ჯარების განადგურებამ სტალინგრადთან. გაზეთის სიტყვით, გერმანელი მოსახლეობა შეშფოთებით კითხულობს: „როდის გათავდება ომი!".

ერთი მილიარდი გირვანქა სტერლინგის დამატებითი ასიგნება სამხედრო საჭიროებისათვის ინგლისში

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). ინგლისის თემთა პალატამ ერთხმად მოიწონა ახალი კანონპროექტი სამხედრო საჭიროებისათვის ერთი მილიარდი გირვანქა სტერლინგის დამატებითი ასიგნების შესახებ.

უცხოეთის ქრონიკა

ამ დღეებში ესპანეთის სამხედრო ნავსადგურ ელ-ფეროლში გაჩნდა უზარმაზარი ხანძარი, რომელმაც მოსპო ან დააზიანა ესპანეთის სამხედრო ხომალდების მნიშვნელოვანი ნაწილი. ხანძარმა ორ დღეს გასტანა. დაიწვა 2 კრეისერი, რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი და სხვა სამხედრო ხომალდები.

* * *

ჩუნცინში მოხდა გაცვლა ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის სიგელებისა, ჩინეთში ინგლისის ექსტერიტორიალობის უფლებათა გაუქმების შესახებ. ვაშინგტონში მოხდა გაცვლა ჩინეთ-ამერიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის სიგელებისა ჩინეთში ამერიკის ექსტერიტორიალობის უფლებათა გაუქმების შესახებ.

* * *

ჰოლანდიაში სამხედრო წესების გამოცხადებასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ თვითსუფლად მყოფი ჰოლანდიელი ყველა ჯარისკაცი სამხედრო ტყვეთა მდგომარეობაში გადაჰყავთ.

* * *

შარლერუას სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა 8 ბელგიელს და ხანგრძლივი პატიმრობა ბევრ სხვას. მათ ყველას ბრალად ედებოდათ საიდუმლო ანტიგერმანული ორგანიზაციის შექმნა.

„გერმანელები,—სწერს გაზეთი, — დატანჯულნი არიან მომავალი ამბების მოლოდინ.ნ.თ. ამ ამბებისაგან ისინი არაფერს კარგს არ მოელიან".

სტამბოლი, 29 მაისი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ამ ცოტა ხნის წინათ ხორვატიაში მოწვეული იყო ხორვატიაში მცხოვრებ გერმანელთა კრება. ამ კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ჰიტლერელთა ერთ-ერთმა მეთაურმა ალტპაიერმა, რომელმაც მკაცრად გაილაშქრა „წინააღმდეგ კრემლმორეული გოდებისა იმის შესახებ, რომ გერმანელები ომს ვერ მოიგებენო". მან განაცხადა, რომ ბევრი გერმანელი უარს ამბობს გაემგზავროს აღმოსავლეთის ფრონტზე და ამბობს: „რატომ მე უნდა ვქნა ეს, და არა შენო". ალტპაიერი სასტიკი რეპრესიებით ემუქრებოდა ყველა იმ გერმანელს, რომელნიც უარს ამბობენ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

ორმოცდაათი წელი სცენაზე

ნიკო გოცირიძე სცენაზე 1893 წელს გამოვიდა. როგორც მსახიობი სახალხო თეატრში დაიბადა, ავჭალის აუდიტორიაში აღიზარდა, სადაც მუშა ხალხი მცირე საფასურით ახერხებდა აზრიან სანახაობას დასწაფებოდა. მისი ნიჭი სახალხო სახლის სცენაზე მომწიფდა და, როდესაც რევოლუციამ თეატრის კარი ხალხს გაუღო, ნიკო გოცირიძე თავის მაყურებელს გაჰყვა და კოტე მარჯანიშვილის შთამაგონებელი ტალანტის ძალა განცდილმა, თავის ახალგაზრდა ამხანაგებთან ერთად, ცხოველი მონაწილეობა მიიღო ქართული საბჭოთა თეატრის დაფუძნებასა და მისი კედლების ამოყვანაში.



ნიკო გოცირიძე მთელი თავისი შემოქმედების და მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთგულად და თავდადებით ემსახურება ხალხური თეატრის იდეას, მას, ავჭალის აუდიტორიის და სახალხო სახლის პატარა სცენაზე მონაწილეობენ ღირსშესანიშნავ ოსტატს, ეპატიჟებოდნენ პროფესიულ სცენაზე, პირდებოდნენ ამ პირობებში შესაძლებელ საუკეთესო მდგომარეობას, მაგრამ ის ყველაფერ ამაზე უარს ამბობდა, არჩევდა გაჭირვებას, ოღონდ კი სახალხო თეატრისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

ნიკო გოცირიძე 30 წელი უსასყიდლოდ ემსახურა სახალხო თეატრს, რკინიგზის სახელოსნოებში მთელი დღის შრომის შემდეგ, ის საღამოს სახალხო სახლის სცენაზე გამოდიოდა და სიცილის აღმძვრელი ძალით მხნეობას და სიხალისეს მატებდა თავის მაყურებელს, სიცილის ამაზილებელი ძალით თავის მოძმესა და მოყვარეს ცხოვრების უსამართლობაზე თვალებს უხელდა. ნიკო გოცირიძე პროფესიონალ მსახიობობას რევოლუციის შემდეგ იწყებს, როცა ხალხური ხელოვნების სანუკვარი იდეის განხორციელება ფაქტი ხდება.

ნიკო გოცირიძემ კარგად იცოდა და იცის, რომ ყოველი ნიჭი მხოლოდ ცოდნის და გამოცდილების შეძენით ისახავს ფრთას, და ამიტომაც მუდამ გასაოცარ ცნობისმოყვარეობას და ინტერესს იჩენდა, გამუდმებით სწავლობდა და, მისი მეოხებით, სახალხო სახლს პროფესიონალი რეჟისორები არ მოჰკლებია. ნიკო გოცირიძე გულმოდგინე მკითხველია ლიტერატურისა და ისტორიისა, მუდამ ხალხში ტრიალებს და სწავლობს. იგი ყოველ ტიპს უხვი ფერადებით ხატავს. საოცრად მეტყველ ენასა და მიმიკას ჰოფლობს, კომიკური ინტონაციას და მოძრაობას ადგილად აგნებს და სრულყოფით წარმოსახავს. ნიკო გოცირიძე განსაკუთრებით გულისხმიერია ხელოვნების ახალი მოვლენებისადმი. სასცენო შემოქმედების წინმსვლელობისათვის ხელისშემწყობ ახალ მოვლენას ის სწრაფად ეხმაურება, მხარს უჭერს, ი[illegible] ამ[illegible] ნიკო გოცირიძე, როგორც ოსტატი გოგი ზარიშვილის რეალისტური აქტიორული სკოლის ტრადიციის [illegible] ... ბია [illegible] ტრადიციებზე [illegible] ... თა ცხოვრების ამსახველ კომედიებში ჰპოვეს თავისი სრულყოფა. ამ ტრადიციებზე გამოვლინდა [illegible] ... თვალი მსა[illegible]ებს ნატო გაბუნიას და ვასო აბაშიძის აქტიორული შემოქმედების ბრწყინვალება. ელისაბედ ჩერქეზიშვილმა და ნიკო გოცირიძემ შეძლეს ღირსეული პარტნიორობა გაეწიათ ნ. გაბუნიასა და ვ. აბაშიძისათვის; ხოლო ამითი გარდაცვალების შემდეგ ელისაბედ ჩერქეზიშვილმა და ნიკო გოცირიძემ ქართულ სცენას ძალამოუკლებლად შეუნარჩუნეს გორგი ერისთავის, ხუთრან ანტონოვის და ავქსენტი ცაგარლის მიერ შექმნილი რეპერტუარი.

საბჭოთა სცენაზე მარჯანიშვილთან მეშაობით გამდიდრდა ნიკო გოცირიძის აქტიორული შესაძლებლობა. მისი ნიჭი გასცდა თბილისის ქალაქური ტიპაჟის ასახვის რკალს, ამ დროიდან მსახიობი ჰპოულობს ნიშნავ სახეებს კლასიკოსებისა და თანამედროვე დრამატურგთა პიესებიდან (სასამართლოს დოქტორი, მოხუცი მეგჩინი, ეურდენი, დოქტორი კასპარი, რუბინინაკი, ელბერტ პურდი, იმუგაში, ბრაბანციო, მოსამართლე ბრიდოუზონი და სხვ.).

ნიკო გოცირიძის შემოქმედებაში ჩვენ გვხიბლავს დაუშრეტელი კომიზმის ძალა, უშუალობა, სასადავე, ცხოველი გამომგონებლობა, რითაც ყოველდღე მდიდრდება და სულ უფრო და უფრო სრულყოფაში შედის მისი ყოველი როლი. ნიკო გოცირიძე კომედიური თეატრის აქტიორისათვის აუცილებელი სიმსუბუქით და სიხალისით თამაშობს, თითქოს თქვენ თვალწინ დიდიხანით მოიგრებულის და ხანგრძლივი ვარჯიშით გაწაფული როლის წარმოსახვა კი არ იყოს, არამედ ნიჭიერი ინპროვიზაცია, უშუალო შესრულებით რომ გვიტაცებს.

ნიკო გოცირიძის შემოქმედება სინთეზია ძველისა და ახლისა, მან პირველმა ძველთაობის ქართულ მსახიობთაგან შესძლო შეეთვისებინა ის დიდი და ახალი, რაც რევოლუციამ მოუპოვა აქტიორულ ოსტატობას, ის, რაც მოიტანა კოტე მარჯანიშვილმა ჩვენს სცენაზე და ამით გაამდიდრა, სრულყოფა XIX საუკუნის ქართული რეალისტური აქტიორული სკოლის ტრადიციებზე გამოწურთობილ ოსტატობა.

დიმიტრი ჯანელიძე

ი. გრიშაშვილის საბავშვო წიგნები

სახელგამმა გამოსცა ი. გრიშაშვილის ორი საბავშვო წიგნი: „ანბანთ ქება" და „ცუგა, ფისო და ბეკეკა". „ანბანთ ქება" დასურათებულია ს. გაბაშვილის მიერ, დაბეჭდილია ფერადი საღებავებით და ღირს 7 მან. „ცუგა, ფისო და ბეკეკა" გამოვიდა ქართულ-რუსულ ენებზე, მხატვრობა ეკუთვნის ლ. გილჩევსკაიას, ლექსების რუსული თარგმანი—ბ. სერებრიაკოვს. წიგნი ღირს 2 მ. 50 კ.

31 მაისს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 21) შესდგება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ამხ. **ვორონოვიჩის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".**

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში (ლენინის ქ. № 41) და რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზის სალაროში (რუსთაველის პრ. № 21) დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

კინოებში

რუსთაველის სახ.—„ლედი ჰამილტონი", **ოქტომბერი**—„გამარჯვება უდაბნოში", **დამკვრელი**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **კომკავშირელი** — „ჯუნიანი კეიცი".

ბარგაკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3304249, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მიერ მარიამ ივანეს-ასულ **ლუქმაშვილის** სახელზე, და პარტბილეთი № 4716259, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის **რაიკომის** მიერ ჯაჯა ალექსის-ასულ **ლიპარტელიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2259989, გაცემული საკ. კ. პ. (ბ) დნეპროძერჟინსკის საქალაქო კომიტეტის მიერ გერასიმე პავლეს-ძე **ტოვსტონოგის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებში

30 მაისს: სახოპერა—„პატარა კახი". **რუსთაველის სახელობის** — „ოტელო". **მარჯანიშვილის სახელობის** — „ეჭვით ავადმყოფი". **მუსიკალური კომედიის**—„ოქროს გასაღები". **სანკულტურის** — „უნიადაგონი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „პირველის მორჯულება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

(რუსთაველის პროსპ. 21, ტელ. № 3—64—11)

1948-44 სასწავლო წლისათვის აწარმოებს განცხადებების მიღებას

სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტებზე.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებულნი იქნებიან 17-დან 35 წლამდე ასაკის საშუალო განათლების ორივე სქესის მოქალაქენი.

სამსახიობო ფაკულტეტზე შემოსვლის მსურველმა უნდა წაიკითხოს ზეპირად პროზის ნაწყვეტი, ოგვა-არაკი, ლექსი, მონოლოგი ან სცენა რომელიმე პიესიდან და შეასრულოს სასცენო ეტიუდი.

სარეჟისორო ფაკულტეტზე საჭირო იგივე და ერთ-ერთ პიესის დადგმის გეგმა, რომელიც შემსრულებელმა საკუთარი არჩევით (წერილობით) უნდა წარმოადგინოს და შემდეგ განახორციელოს შემსრულებლებთან ერთად მიზანსცენებში; საჭიროა აგრეთვე პროფესიულ, ან თვითმოქმედ თეატრში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა.

სტიპენდიები საერთო წესით.

განცხადებას უნდა დაერთოს დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ატესტატი (დედანი), პასპორტი (პირადად უნდა წარმოადგინოს), 3 დამოწმებული ფოტოსურათი, უთავსახურად გადაღებული (ზომა 3×4 სანტ.), სამხედრო ვალდებულების ცნობა.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში.

მისაღები გამოცდები 10 ივლისს დილის 10 საათზე.

უახლოეს დღეებში

გამოშვებული იქნება ახალი მუსიკალური კომედია

ანგოშა რიბკინი

რეჟისორი კ. ოუდინი

მთავარ როლებში: სტალინური პრემიის ლაურეატები ბ. ჩირკოვი, მ. ლადინინა, ნ. კრუჩკოვი.

„გლავკინოპროკატის"
საქ. კანტორის გამოშვება.

22-ე საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან გ. პანიეევის სიძის,
სერგო ივანეს-ძე მელიქსეთოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/V, 2 ს. ნინოშვილის, 19-ა. 1249

საქ. მიწსახკომის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან, რომ 30/V, 4 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
აკაკი სიმონის-ძე ქაპანაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 1250

მეუღლე ნინო, შვილები გურამ, მადონა იუწყებიან
პოლიკარპე თადეოზის-ძე ბოკრდაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31/V, 8 ს. ჩელუსკინის, 22. დაკრ. 1/VI, 7 ს. 1243

სულიკო, თამარ, ნინო, მარგო, გივი ქვაწრები, სიძე შ. ხარჩილავა. იუწყებიან
დავით სტეფანეს-ძე ბაგბაშას
გარდაცვალებას. 1247

საქმარეწყეკავშირის სისტემის არტელ „ხის მრეწველობის" კოლექტივი იუწყება
რაფელ დარისპანის-ძე თევზაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა თბილისში.

შვილი აზიკო კამკამიძე იუწყება ძვირფასი დედის
მერი ჩიტაძის
გარდაცვალებას.

ბურიას სახ. რაიფინგანის თანამშრომლები იუწყებიან ნუნუ ზაალიშვილის ბიძის
გორგი დავითის-ძე რატიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/V, 3 ს. ბუდაურის შეს. 2. 1253

მშობლები მანია, გრიშა ჩხეიძეები იუწყებიან
ცუციკოს
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. სბტრ. თალო, დამკვრელთა სახლი. დაკრძ. 1/VI, 6 ს.

ს. ჯოჯუა, თ. კვარაცხელია, ტ. თოთიბაძე, ქ. თოფურიძე, ლ. ქურდოდანიძე, ე. გვარამაძე, ზ. ბერძენიშვილი იუწყებიან
ზოია სოხაძის
გარდაცვალებას. 1246

„ხილბოსტნეგაჩრობის" მუშაკთა კოლექტივი იუწყება ე. ჭყონიის ბიცოლას
პელაგია პლატონის-ასულ ჭყონიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8 ს. კალაბაძის, 32. დაკრძალვა 1/VI, 7 ს. 1254

ვ. თუშმალიშვილი, თ. გაჩეჩილაძე, შ. კიადიკოვი, დ. ჩხეიძე, ბ. დათეშიძე, კ. აბაშიძე იუწყებიან გ. ვანდოროს დედის
ანა ზრძელიშვილი-ზალამგერიძის
გარდაცვალებას. 1255

შვილები ნინო, ნორა იუწყებიან
ელისაბედ ირაკლის-ასულ მიქელაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ½ ს. ნიკოლაძის I ჩიხი, 16. დაკრძ. 1/VI, 6 ½ ს.

მეუღლე ეფროსინე, შვილები ეასო, გალაქტიონ, კოლია, სონია, ეკატერინე, რძლები მარო, ნინო, შატუ იუწყებიან
სერგო შევარდენის-ძე გოგოლაძის
გარდაცვალებას. 1248

დაკარგულია მოლოტოვის სახ. რაიონის № 19 სახლთმმართველობის სამკუთხედი ბეჭედი. ჩ. ბ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 0399

პროფ. პ. გუგუშვილი

გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი გლეხობა ამიერ-კავკასიაში

ცნობილია, რომ მეფის რუსეთში გერმანიის დაზვერვის მიერ წარმოებულ ძირგამომხრელ მუშაობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ გერმანელი კოლონისტებიც. რუსეთში გერმანელთა კოლონიების მოწყობა სწარმოებდა გერმანიის მთავარი შტაბის საიდუმლო მითითებათა მიხედვით. რუსეთში დასასახლებელ პირთ ამოწმებდნენ მათი პოლიტიკური კეთილსაიმედობისა და გერმანიზმის იდეებისადმი ერთგულების თვალსაზრისით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანული დაზვერვა დარწმუნდებოდა, რომ „კოლონისტი" მზად არის მისი ამოცანების შესასრულებლად, მას შეეძლო გასულიყო გერმანიიდან და ეძლეოდა შესაფერი მატერიალური დახმარება; კოლონისტთა დასახლების ადგილებიც ინიშნებოდა გერმანიის შტაბის სტრატეგიულ მოსაზრებათა შესაბამისად.

როგორც ამხ. ლ. პ. ბერია სწერს, „კოლ